



# შირაქი

## SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დაეფუძინა შირაქის მუნიციპალიტეტის დაფუძნების 75-ე წლის იubilეისადმი

№8-9 (10.017)

19 მარტი-2 აპრილი, 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

საქართველოს სახელმწიფო გამომცემი

## აკი არაფერია გაზეთიო?

21 მარტს ქართული ჟურნალისტიკის დღე აღინიშნა. მილოცვებს მიღმა ამ დღეს კვლავ აქტუალური ხდება სოლიდური ჟურნალისტიკის საჭიროების, პროფესიონალიზმის საკითხი.

ოცდამეერთე საუკუნეში, ტექნოლოგიური მიღწევების ფონზე, ბევრი რამ გადაფასდა, მათ შორის გაზეთისა და წიგნის როლიც. ბევრი ამბობს, რომ სოციალურმა მედიამ ჩაანაცვლა გაზეთის ტრადიციული ფორმატი. თუმცა, სოციალური მედიის არარსებობის პირობებშიც ჰქონდა გაზეთის პრობლემა: ადამიანების ნაწილი ადრეც მიიჩნევდა, რომ გაზეთის ფუნქცია არასაკმარისი იყო...

მოვუსმინოთ ვაჟა-ფშაველას. აი, რას წერდა ის მეოცე საუკუნის დასაწყისში:

„ჩვენში მსუბუქად უტყეირან მწერლობას, თითქოს აბუჩად აგდებული ჰყავსო, მწერლები კიდე უსაქმო, „საქმეგამოლეული“ ხალხი ჰგონიათ; მაგრამ თუ ამ საქმე გამოლეულია ბერავემა „გაუხახუნა“ ვისმე ამის მოუბარს გაზეთში, გაგონარაინ, ის ყალბზე შედგება და ასტყეს ჰაი-ჰუის: რაგორ თუ ბაზაში ჩამწარაინ, ჩამი ცუდი საქციელი გამოაქვეყნაო! აკი არაფერია გაზეთიო? თითქოს ბრძანებით, უსაქმურობა მწერლობაო?.. თუ დაგნო და გაკბინა დაბეჭდილმა სიტყვამ ახად, უსაქმურობა კი არა, საქმიანობა ყოფილა; მაშასადამე ძალა ჰქონია, საყურადღებო რაღაც რამ ყოფილა ეს სხვადასხვა ამბებით, სხვადასხვა ფიქრით და მოსაზრებით აჭრელე-ბული ფურცელი. დაიდა, ნუ გგონიათ, ვაჟბატონებო, რომ ჩვენ, ბერავეს მვლანავეებს, საქმე მოგველია და იმიტომ ვვლანბნით, ვწერთ, ვანყდებით ლობე-ყორეს, არა. ჩვენ იმას ვცდილობთ, ეგები სასარგებლო რამ გავაგონოთ ქვეყანას, შევმატოთ რამ მის გონებას და ზნეობასაო. ნუთუ ეს საქმე არ არის? ნუთუ ეს საქმე თქვენს საქმეს, რომელსაც მარტო თქვენი თავი ახსოვს, ჩამოურჩება უკან? არა მგონია. ვიცი, კარგად ვიცი, ამისთანა მსჯელობა საიდანაც მომდინარეობს და სარჩულად რაც უძევს. აი რა: ერთი გლეხი მყავს მეზობლად, რომელიც ორ დღეში ერთხელ მაინც მინახულებს ხოლმე, და ვაი ჩემი ბრალი, თუ წერის დროს მომასწრო! - შენ, სწორედ, საქმე გამოგწყვეტია, კაცო რა სულ მაგ ქალაქებს ჩაჰლირილი - ჩაჰკირკიტებ? სუ ხო ბაღლი არ იქნები. - გაათავე, მორჩი მაგ მასხარაობას. საქმე გაიგე! - მეტყვის იგი დარწმუნებით, ისე დაბეჯითებით, რომ მეც თითქოს ეჭვიმ შევიდვარ და მართლა უსაქმურად მიმაჩნია ჩემი თავი. - საქმე არა გგონია შენ ესა?.. მაშ საქმეს რას ეძახი? - ვეკითხები მე - სადიური საქმეა, შენს გამარჯვებას, - მეუბნება ის კვლავ: ქალაქი, მელანი და იმის საქმე! საქმე იმას ვეძახი - მონხას კაცმა, მომკოს, მოთიბოს, სახლს რამ შეჰმატოს, ცოლ-შვილს რამ არგოსო. [რა] პასუხი უნდა მისცე ამისთანა მსჯელობის პატრონს? იმას რომ ესმოდეს მწერლობის მნიშვნელობა, ესწავლა რამ და მისმა გონებამ სწავლის გემო იცოდეს, ამას არ იტყვია, მაგრამ რადგან არ იცის და არ ესმის, ამბობს გულწრფელად სისულელეს... ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ იმ მდგომარეობაშია, რომ ამისთანა მსჯელობას ნიადაგი აქვს და რას იზამ, კრიჭას ვის აუკრავ, ენას ვის დაუბამ, რად ამბობო! მაგრამ, ნათქვამია ძველად: „ვინც რა უნდა თქვას, ნისქვილმა კი ფქვასო“. დაიდა, ნისქვილმა ფქვას და მეფელეტონემ კიდევ სთქვას, მოდი და ნუ იტყვი თუნდ ამას, რომ ჩვენში მწერლობას უსაქმურობა ეძახიან, უსაქმურობა-მეტიჩრობას, არა მარტო უბირნი სოფლები, რომელთაც არაფერი უსწავლიათ, არამედ ისინიც კი, - ვისაც სამი და ოთხი კლასი მაინც უნახავთ გიმნაზიისა, - გასულან სოფლად და ნითელს ნუნუას მოჰსხდომიან გვერდით. ხომ მე ჩემსას არ დავიშლი და მაინც ვიტყვი, თუმც კი უხერხულს მდგომარეობაში ვარ: სანაყალი მეფელეტონე, გაღმა მკითხველები არიან და გამოღმა თვითონ ბუტბუტებს! უხერხულს მდგომარეობაში თუ არა ვარ, მაშ რა ჯანდაბაა; მე იმას ვნატრულობ, რომ ეგები ჩვენი მწერლობა გაძლიერდეს, ნაბეჭდმა სიტყვამ მოიპოვოს ბინა ხალხის გულსა და გონებაში, და ისინი კი, ვისთვისაც რამ ინერება გაიძახიან: წერაზე სრულიად ხელი უნდა აიღოთ! წერაზე - რომელი ჭკუათმყოფელი მწერალი ხელს აიღებს, რადგან დარწმუნებულია, რომ მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრეს იარაღთანაა ერთი ნინსვლისა, მის გონების და ცხოვრების გაუქვითვისა. თუ სხვანი ჰხვნიან, სთესენ, ერთის სიტყვით რომ ვსთქვათ, მეურნეობენ და ერს ამდიდრებენ, მწერლობა კიდევ იმას უჩვენებს, თუ ეს სიმდიდრე რაზე და როგორ უნდა იქმნას მოხმარებული,



რათა ცხოვრება უფრო სარგებლიანი და ნაყოფიერი შეიქმნეს. მაგრამ მწერლობაც არის და მწერლობაც. მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას. უკეთესი ქვეყანის სამსახური მწერლობისა კიდევ იმაში გამოიხატება, რომელი ყოველი წვლილი, ავი თუ კარგი, თავის ქვეყნისა ესმოდე, შეგნებული ჰქონდეს მისი საჭიროება და სხვებსაც შეაგნებინოს ესევე, - ყველა ავადობას, ყველა წყლულს წამალი დასდავს და, მაშასადამე, კარგი მწერალიც ის არის, ვისაც უკეთ შეუგნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს“.

\*\*\*

ჟურნალისტიკის პროფესია რთულია. ზოგჯერ პატარა ინფორმაციაში იმხელა შრომა ჩადებული, იმდენ წყაროსთანაა გადამოწმებული, ერთი შეხედვით რამდენიმე წინადადებაში „ნიუსი“, რომ ამის წარმოდგენა მკითხველს ძნელად თუ წარმოუდგენია. ჟურნალისტიკა ჯარისკაცია, რომელიც იქ მსახურობს, სადაც გაზეთი თუ ის მედია-საშუალება „გაამწესებს“, სადაც ის მუშაობს. ომში მომუშავე ჟურნალისტი ყველაზე დიდი საფრთხის ქვეშ, საკუთარი სიცოცხლის ფასად აწვდის ინფორმაციას საზოგადოებას, ბევრჯერ ისინიც ეწირებიან ბომბებსა თუ ტყვეობას... მაგრამ არ წუნუნებენ, არც იქედან გამოვლიან, რადგან კარგად ესმით, რომ ეს მათი მოვალეობაა...

ჩვენს დროში ყველაფერი გაუბრალოვდა, მათ შორის ჟურნალისტიკის პროფესიაც. ბევრმა დაუმსახურებლად, ყოველგვარი განათლების ცენზის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გადაწყვიტა, საკუთარი თავისთვის ეს სტატუსი მიენიჭებინა, ინფორმაციასაც მისი გადამოწმების გარეშე ავრცელებს. ჟურნალისტიკის სტანდარტიც აღარ არსებობს, საინფორმაციო სააგენტოს სტატუსის მინიჭებაც იოლი გახდა. ამ რთულ დროში მართლაც ძნელია, გერქვას ჟურნალისტი, იყო ობიექტური, მიუკერძოებელი და მოუსყიდავი, მაგრამ, ემსახურო საქმეს, რომელიც დიდი ხნის წინ აირჩიე...

ახლაც, როცა გაზეთი „შირაქი“ გამოქვეყნდა, თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევების პარალელურად, ინტერნეტის გარეშე გვიწვავს მუშაობა. მარტში მოსულმა უხვმა ნალექმა „შირაქის“ ინტერნეტ კაბალი დააზიანა და არაერთი ზარისა და თხროვის მიუხედავად, ინტერნეტის საზი ვერ აღვივალდინა. მანამდე იმავე გვაკლავდნენ, გვიამბავდნენ, რომ ინტერნეტის მომსახურება აღდგაო... მაგრამ არაა... ამის გამო გაზეთის წინა ნომერი ვერ გამოვიდა. ახლა ჩვენი ძალისხმევით ვაპატივებთ „შირაქს“, რათა მკითხველმა ორგანოსთან შეუწყობა-გადასაწყობა მიიღოს ის.

ინგა შილაშვილი

## 21 მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღე!



21 მარტს, დაეფუძინა შირაქის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარესთან ნუზურა პაპიაშვილთან ერთად, გაზეთ „შირაქის“ ჟურნალისტიკის შეხვედრა და პროფესიული დღე მიულოცა.

„მინდა, დღევანდელი დღე მივულოცო 85 წლის ისტორიის მქონე გაზეთ „შირაქის“ ყველა მოქმედ და ყოფილ თანამშრომელს, ასევე მათ ყველა კოლეგას, რომელთაც წვლილი შეაქვთ ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში“ - აღნიშნა ნიკოლოზ ჯანაშვილმა. შეხვედრის ბოლოს მან სიმბოლური საჩუქრებიც გადასცა მოქმედ და ყოფილ ჟურნალისტებს.



ა(ა)იწ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა ინტერნეტის ეკოლოგებს „ნევრებმა“, ამავე სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეებთან ერთად, აღნიშნეს ქართული ჟურნალისტიკის დღე. მათ დაამზადეს პოსტერები, მისალოცი ბარათები და ენვიგონი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთ „შირაქის“ რედაქციას. მცირედი ყურადღება სასიხარულო მოულოდნელობა აღმოჩნდა ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის. გაზეთის დირექტორმა, ქალბატონმა ინგა შილაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს ყურადღებისა და სიტყვის გამოხატვისთვის. გარდა ამისა, მან ჟურნალისტიკის პროფესიით დაინტერესებულ მოსწავლეებს შესთავაზა დახმარება და გვერდში დგომა.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია მადლობას უხდის ყველას დაფასებისა და ყურადღებისთვის. ჩვენ კვლავაც ერთგულად გავაგრძელებთ ჩვენი მკითხველისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებულობას.

# სოფლის საერთო კრებები დამთავრდა, პრიორიტეტები გამოვლენილია

სოფლის საერთო კრებები ხორნაბუჯში, ჭოეთსა და სამრეკლოში ჩატარდა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა აღნიშნულ სოფლებში მერის წარმომადგენლებთან და საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან ერთად გამართა. ამით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლის საერთო კრებები დასრულდა.

შეხვედრებზე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობამ პრიორიტეტად სასაფლაოების შემოღობვა, რეკრეაციული ზონებისა და საბავშვო მოედნების მოწყობა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეზოების კეთილმოწყობა დაასახელა.

პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა 256 000 ლარს შეადგენს.



## სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოები ხორციელდება

„საქართველოს მელიორაცია“, კახეთში, 4500 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე, სარწყავი წყლის მიწოდების გასაუმჯობესებლად, ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონესრიგების სამუშაოებს ახორციელებს.

სოფელ ახაშენისა და ჩუმლაყის ტერიტორიაზე ნატანი მასისა და ხე-ბუჩქნარისაგან 6 კილომეტრამდე სიგრძის საირიგაციო არხი იწმინდება.

სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს.

შედეგად, გურჯაანის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში 4500 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება წყალუზრუნველყოფა, რაც ადგილობრივ ფერმერებს ხარისხიანი და უხვი მოსავლის მოყვანის შესაძლებლობას მისცემს.

სარწყავ სისტემაზე მიმდინარე სამუშაოები აპრილის შუა რიცხვებში დასრულდება.



## მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს!



დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი შეუერთდა.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ხელისუფლებებისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს დაუნის სინდრომის მქონე პირთა საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრირება. საქართველოს მთავრობის

მიერ, ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა და პროცესი მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება. მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს!

## მესაზღვრის დღე მიულოცეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი - ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე - ნუგზარ პაპიაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს N4 სამმართველოს ეწვივნენ და მესაზღვრეებს პროფესიული დღე მიულოცეს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მესაზღვრეებს სახელმწიფო საზღვრის დასაცავად გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადეს და პროფესიული წარმატებები უსურვეს.



## ქარსაფარი ზოლების შესახებ დადგენილება დამტკიცდა

საქართველოს მთავრობამ „ქარსაფარი ზოლის აღდგენის, გაშენების, მოვლის, დაცვისა და მასზე ზედამხედველობის წესის შესახებ“ დადგენილება დამტკიცა. აღნიშნული დადგენილება „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის მიხედვით დამტკიცდა. ქარსაფარი ზოლის აღდგენა და გაშენება სამეურნეო ღონისძიებათა ერთობლიობას წარმოადგენს და მიზნად ისახავს ქარსაფარი ზოლების ფუნქციური დანიშნულების შესრულებისა და სრულყოფა-გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად ამორტიზებული ქარსაფარი ზოლების აღდგენას ან/და ახალი ქარსაფარი ზოლების გაშენებას.

ქარსაფარი ზოლების აღდგენა და გაშენება განხორციელდება გეგმის საფუძველზე, რომელსაც ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციის ან/და სპეციალური მოკვლევების შედეგების გათვალისწინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დამტკიცებს. ქარსაფარი ზოლის აღდგენისა და გაშენების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება კონკრეტული მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელი ქარების სიძლიერე, მათ მიმართ მდგრადი ხეების სახეობები, გაშენების მეთოდები და სხვა ღონისძიებები. აღნიშნული წესები ასევე არეგულირებს ქარსაფარი ზოლის მოვლისა და დაცვის ღონისძიებებს. დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების ერთობლიობა ხელს შეუწყობს ნიადაგის ქარისმიერი ეროზიისგან დაცვას და მისი ნაყოფიერების შენარჩუნებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის შესაბამისი ნიადაგური და მიკროკლიმატური გარემოს უზრუნველყოფას. მიწის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო.





### Google MAP-ზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ობიექტების მონიშვნა დასრულდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის მაღალი მიგრაციის შესამცირებლად, ალტერნატიული ბიზნესების და სამუშაო ადგილების შესაქმნელად სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის და რაიონისთვის ეკონომიკის ახალი დარგების განვითარება. იმედია, მსოფლიოში პანდემიაც დასრულდება და მშვიდობაც დაისადგურებს. ბუნებრივია, რომ ამ დროისთვის ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიზნესებმაც უნდა იზრუნონ თავისი პროდუქტის თუ სერვისის პოპულარიზაციაზე, განსაკუთრებით, ინტერნეტ-სივრცეში.

ბოლო პერიოდში თითქმის მთელ მსოფლიოში ვიზიტები სხვა ქვეყანა-სა და რეგიონში ინტერნეტით იგეგმება. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოველი კონკრეტული ადგილის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში განთავსებულ ინფორმაციას ადგილობრივი რესურსების, ბიზნესების და სერვისების შესახებ. დაგეგმვის პროცესში ყველაზე პოპულარული და მაღალი სანდოობის მქონეა Google-ის სერვისების, მათ შორის, მისი რუკების გამოყენება.

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციამ ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან ერთად თითქმის დაასრულა პროექტი „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი GOOGLE MAP-ზე“. მთავარი ამოცანა იყო მუნიციპალიტეტის შესახებ უკვე არსებულ ციფრულ Google-ის რუკაზე ახალი ლოკაციების დამატება, ინფორმაციით შევსება და ბიზნესებისთვის მიერ Google-ის სხვა უფასო სერვისების გამოყენების შეთავაზება.

პროექტი დაფინანსდა ევროკავშირის (სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის-ENPARD III ფაზა) მიერ და მხარდაჭერილი იყო გაეროს განვითარების პროგრამის პროექტ „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“-ის

ინიციატივა „ქვიზანი სოფლები (Smart Villages)“-ს ფარგლებში.

პროექტის დაწყებამდე შევისწავლეთ Google Map-ზე დედოფლისწყაროზე არსებული ინფორმაცია. გაირკვა, რომ რუკაზე მონიშნული იყო ძალიან ცოტა ობიექტი, ძირითადად, ეს იყო ეკლესიები და სკოლები. ბიზნეს-ლოკაციების ძალიან მცირე ნაწილის შესახებ იყო განახლებული ინფორმაცია, მონიშნული ბიზნესების ერთი ნაწილი კი უკვე დახურული აღმოჩნდა.

მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი და ქალაქი დედოფლისწყარო შემოვიარეთ, მონიშნეთ სკოლები, საბავშვო ბაღები, სამედიცინო დაწესებულებები, აფთიაქები, პარკები, სკვერები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ლოკაციები, საბავშვო მოედნები და სტადიონები, მაღაზიები, საწყობები, მექანიზაციის სერვისები, განთავსების საშუალებები, ბუნებრივი წყაროები და სხვა. შესაბამისი ფოტოებით და სხვა, პრაქტიკულად, სრულად ახალი ინფორმაციით შევავსეთ რუკა.

მონიშნული ლოკაციების დიდი ნაწილი უკვე დადასტურდა და გამოქვეყნებულია რუკაზე, მაგრამ არის გარკვეული ადგილები, რომლებიც ჯერ არ გამოქვეყნებულა.

ჩვენი პროექტი სპეციფიკური იყო იმით, რომ ბიზნესებს უშუალოდ ადგილზე მისვლით, ინდივიდუალურად ვთავაზობდით დახმარებას და სწავლებას, მათ საქმიანობაზე ინფორმაციის გავრცელებას: Google-რუკაზე მათი ობიექტის მონიშვნას, ასევე - Google-ის უფასო სერვისებზე რეგისტრაციას, რაც სრულყოფს რუკას და ადვილად საპოვნელს გახდის მათ ბიზნესს.

ახლა, როცა მსოფლიო პანდემიის პირობებში ბიზნესები კრიზისშია, დაიკარგა სამუშაო ადგილები და უფრო გართულდა თემის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაიონის პოპულარიზაციის ზრდა ხელს შეუწყობს ადგილო-

ბრივი მცირე ბიზნესების შენარჩუნებას, დაეხმარება მათ კლიენტების მოზიდვაში. როცა ვიზიტორი რუკაზე მთელ ბიზნესებს ერთობლივად დაინახავს, გაიზრდება მისი ჩამოსვლის ალბათობა.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ისიც, რომ როცა მსოფლიოში ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება, გაჩნდებიან სხვადასხვა ადგილზე უძრავი ქონების შეძენის მსურველებიც. ასეთი ადამიანი დედოფლისწყაროს რუკას რომ დახედავს, დაინახავს, რომ ეს არის ქვეყნის განაპირა, წყნარი რეგიონი, მაგრამ არსებობს ცხოვრებისთვის საჭირო ყველა ობიექტი: საბავშვო ბაღი, სკოლა, სამედიცინო დაწესებულება და სხვა.

მუშაობის პროცესში გარკვეულ პრობლემას ქმნიდა ის, რომ შესაბამისი სამსახურების მიერ რაიონულ ცენტრში დასაზუსტებელია ქუჩების და სახლების დამისამართება, უმეტეს სოფლებში კი ქუჩებს არ აქვს სახელები და სახლებს-ნომრები.

მისამართების არარსებობა ბევრ პრობლემას უქმნის ადგილობრივ თემს სახელმწიფო სერვისების მიღების პროცესში: სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო-სამაშველო სამსახურის, სოციალური დახმარების მიღების, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების, საფოსტო გზავნილების მიღების/მიტანის და სხვა სერვისები. ახლა, რუკაზე ახალი ინფორმაციის შეტანით ნაწილობრივ გადავიჭრებთ ამ სამსახურების მუშაობაც, რადგან შესაძლებელი იქნება ორიენტირება მონიშნული ობიექტების (სკოლის, ტაძრის, საწყობის და სხვა) ადგილმდებარეობის მითითებით.

დედოფლისწყარო მდიდარია ტურისტული რესურსებით, მაგრამ საგზაო საინფორმაციო ნიშნების არარსებობა აძნელებს მათ პოვნას. ახლა ვფიქრობთ, რომ Google რუკაზე ხარისხიანი ინფორმაციის არსებობა გააადვილებს როგორც ამ ობიექტებზე მისვლას, ისე, ახალი ტურისტული ბილიკების შექმნას და მონიშ-

ვნას, მარშრუტების დაგეგმვას, მათში თემის ჩართვას.

აღსანიშნავია ისიც, რომ დედოფლისწყაროს Google-რუკაზე ბევრი უზუსტობაა ქუჩების დასახელებებში, რის შესწორებაც, Google-ის მუშაობის პრინციპების მიხედვით, მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურების ფუნქციაა. საქართველოს სახელმწიფომ უნდა მიმართოს Google-ის ადმინისტრაციას და მოითხოვოს ქ. დედოფლისწყაროს რამდენიმე ქუჩის დასახელების შესწორება. არსებულ მდგომარეობაზე ჩვენმა გუნდმა ინფორმაცია მიანოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

**პროექტის განხორციელების შედეგად:**

- მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან შესაძლებელი გახდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის და მისი რესურსების შესახებ ახალი ინფორმაციის მოძებნა.
- რაიონი გახდა ადვილად საპოვნელი;
- ბიზნესი უკვე ჩანს საძიებო სისტემაში;
- კლიენტისთვის უფრო გამარტივდა ინფორმაციის მოპოვება;
- პოპულარული გახდება ადგილობრივი პროდუქტები, სერვისები, ტურისტული ღირსშესანიშნაობები
- კარგად შევსებული რუკით უფრო ადვილია მოძრაობა და საჭირო ბიზნესთან მისვლა.
- მთლიანად პროექტის შედეგები დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

Google რუკასთან მუშაობის, ბიზნესების პროფილის მართვის და Google-ის სხვა სერვისებზე პროექტის ფარგლებში მომზადებული სასწავლო მასალა ქართულ ენაზე გამოქვეყნებულია ტურიზმის განვითარების ასოციაციის საიტზე: [www.dtda.ge](http://www.dtda.ge)

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარე მანანა ყაბაშვილი

## ს ა ნ ქ ც ი ე ბ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი უ ც ხ ო ე თ შ ი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაცია თავს დაესხა მეზობელ, მშვიდობიან ქვეყანას - უკრაინას, მას შემდეგ, ერთი თვის თავზე უდიდესი დანაკარგი ნახა ქვეყანამ, გარდაცვლილია ათასობით ადამიანი, 120-ზე მეტი ბავშვი, ქალები, უმწიფო მოხუცები.

ოკუპანტი ქვეყანა, რომელმაც ჯერ კიდევ 2008 წელს ასეთივე თავდასხმა განახორციელა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და დღემდე უკანონოდ მითვისებული აქვს ჩვენი სამშობლოს 20%, ახლა იგივე მეთოდებით ახორციელებს უკრაინის სუვერენული სახელმწიფოს დაბომბვას. ჰუმანიტარული კატასტროფა მძვინვარებს ხარკოვსა და მარიუპოლში, სადაც ბლოკადაში ჰყავს ასეულათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, ყოველდღიურად შიმშილისა და გაუწყლოების ნიადაგზე ილუპება ათეულობით ბავშვი, ქალი, მოხუცი. მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო გაერთიანდა ამ საშინელი ტერორისტული ომის წინააღმდეგ საბრძოლველად. აშშ, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი და ევროპა ცდილობენ მშვიდობიანი მეთოდებით აიძულონ რუსეთი, ხელი აიღოს ამ უკანონო ქმედებაზე და დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ომი უკრაინაში, რომელსაც უკვე მიაყენა განუსაზღვრელი ზიანი. ეკონომიკური სანქციები ის ერთ-ერთი მთავარი საბრძოლო იარაღია, რომლითაც ცდილობენ საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნები შეაჩერონ უდანაშაულო ბავშვების, ქალებისა თუ უმწიფო მოხუცების დაბომბვა, აღარაფერს ვამბობთ სხვა დანარჩენ მო-

სახლეობაზე. გაზეთი „შირაქი“ სანქციების საკითხზე დაუკავშირდა უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს. მათი აზრი მოვისმინეთ ასევე უსწრაფესად შეცვლილ ფასებსა და მოსახლეობის განწყობაზე უკრაინელი ხალხის მიმართ. როგორც ჩვენი მეგობრები **ია და თამარი** გვისხნისან **ლოს-ანჟელესიდან**, ფასებმა ძალიან მოიმატა საკვებზე და საწვავზე, თუმცა, ხალხი ამას სრული გაგებით ეკიდება და პირიქით, მეტი მოთხოვნა აქვთ თავიანთი ხელისუფლების მიმართ, რომ რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად დაეხმარებოდნენ უკრაინელ ხალხს, რათა ეს ომი დამთავრდეს ამ უდანაშაულო ხალხის გამარჯვებით. **ბერლინიდან** დაგვიკავშირდა ჩვენი აქტიური რესპონდენტი **ილია** და გვესაუბრა ფასების მკვეთრ ზრდაზე, მაგრამ აქაც ერთიანობა მტკიცე და ურყევა, ხალხს თავისი პოზიცია მყარად აქვს ჩამოყალიბებული: სოლიდარობა უკრაინელ, უდანაშაულო ერს, რომელიც რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდა. **მილანში** დავუკავშირდით ჩვენს **ლაურა ექიმს**, რომელმაც არამარტო საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქტების, საწვავის გაძვირების თაობაზე გვაცნობა, არამედ დენისა და გაზის გაზრდილ ტარიფებზეც. განწყობა მოსახლეობის იგივეა: აიტანენ, მოითმენენ, ოღონდ უდანაშაულო ხალხს გვერდში დაუდგნენ.

ჩვენ ასევე დავუკავშირდით ჩვენს მეგობარ **ირინას სანქტ-პეტერბურგში**, რომელმაც საკვებ პროდუქტებსა და საწვავზე კატასტროფული, 100-120%-



ანი ზრდა დაადასტურა. „წინიურა თუ უღირდათ 41 რუბლი, სანამ თავს დაესხებოდნენ მშვიდობიან უკრაინას, ამის შემდეგ, მსოფლიოში მათ მიმართ განხორციელებული სანქციების კვალდაკვალ, დღეს უღირთ 98 რუბლი, პომიდორი ღირდა 200 რუბლი, ახლა 350 რუბლია, გაორმაგდა საწვავი და საერთოდ არ დარჩა პროდუქტის არცერთი სახეობა, მინიმუმ 50%-იანი მატება რომ ჰქონდეს. რაც შეეხება რუსებს, მე რაც აქ ხალხს ვუყურებ და ვაკვირდები, მათი უმრავლესობა მხარს უჭერს პუტინს და

ომს. არ ვიცი, ეშინიათ და ვერ გამოხატავენ სიმართლეს თუ მართლა ასეთები არიან მენტალურად. ვერ ვხსნი, მაოცებს მათი მტრული დამოკიდებულება უკრაინელი ერის მიმართ!“

დასასრულს, არ შემიძლია ჩემი პირადი განწყობა არ გამოვხატო ომში მყოფი სახელმწიფო და მისი გირი მებრძოლები თუ თითოეული მოქალაქის მიმართ. მინდა, ვუსურვო მხედობა, გამძლეობა და მაღალი ომის გამარჯვებით დასრულება.

ელზა ხარაშვილი

# საქართველოში თურქული მედიკამენტები უკვე იმპორტირებულია

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, თურქული ფარმაცევტული ბაზრის გახსნის შედეგად საქართველოში, უკვე 35-ზე მეტი დასახელების მედიკამენტია იმპორტირებული. მათი ფასი კი საშუალოდ 60-80%-ით არის შემცირებული.

მოსახლეობისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სახელმწიფოს პრიორიტეტია. ჯანდაცვის სამინისტროში, ამ მიმართულებით, მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. დაახლოებით, ერთ თვეში, ქართულ ბაზარზე, თურქეთიდან შემოსული 200-მდე მედიკამენტი იქნება ხელმისაწვდომი.

თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატების შექმნა, საქართველოს მოსახლეობას, ამ ეტაპზე, ორ მსხვილ სააფთიაქო ქსელში „ფარმადეპო“-სა და „ავერსი“-ს ფილიალებში შეუძლია. ჯერ-ჯერობით ერთი დასახელების მედიკამენტი, „ქსალერტო“ წარმოდგენილია „სპა“-სა და „ფარმსახლი“-ს სააფთიაქო ქსელში.

თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატების ჩამონათვალსა და აფთიაქების მისამართებს, სადაც მათი შექმნა არის შესაძლებელი გაცნობით ამ ბმულზე:

აკვლასტა ხსნარი საინფუზიო 5მგ/100მლ ფლაკონი
ვოლტარენი ემულსიონი გელი 1% 50მგ ტუბი
სირდალუდი ტაბლეტი 2მგ
ატაკანდი ტაბლეტი 16მგ
ბრილინტა ტაბლეტი 90მგ
დიოფანი ტაბლეტი 160მგ
კო-დიოფანი ტაბლეტი 160მგ+12.5მგ
კონკორი ტაბლეტი 5მგ
კონკორი ტაბლეტი 10მგ
კორდარონი ტაბლეტი 200მგ
კრესტორი ტაბლეტი 10მგ
კრესტორი ტაბლეტი 20მგ
პლავიქსი ტაბლეტი 75მგ
ტენორეტიკი ტაბლეტი 100მგ+25მგ
არიმიდექსი ტაბლეტი 1მგ
ჯესი ტაბლეტი 0.02მგ+3მგ
ბეტასერვი ტაბლეტი 16მგ
ბეტასერვი ტაბლეტი 24მგ
დეპაკინი ხრონი ტაბლეტი 500მგ
გალფუს მეტი ტაბლეტი 50მგ+1000მგ
გალფუს მეტი ტაბლეტი 50მგ+850მგ
გალფუს ტაბლეტი 50მგ
გლიფორი ტაბლეტი 1000მგ
გლუკოფაჯი ტაბლეტი 1000მგ
იანსუვა ტაბლეტი 100მგ
იანსუვა ტაბლეტი 50მგ+1000მგ
ინსულინი ლანტუსი soloStar ხსნარი საინექციო 100სე/1მლ 3მლ შპრიც-კალამი
ფორქსიდა ტაბლეტი 10მგ
სერტიდინი დისკუსი ფხვნილი საინჰალაციო 50მგ+250მგ/1დოზა 60დოზა
სიმბიკორტი ტურბოჰალერი ფხვნილი საინჰალაციო 80მგ+4.5მგ/1დოზა 60დოზა ფლაკონი
სიმბიკორტი ტურბოჰალერი ფხვნილი საინჰალაციო 160მგ+4.5მგ/1დოზა 60დოზა ფლაკონი

„ფარმადეპო“-ს ფილიალების მისამართები, სადაც შესაძლებელია აღნიშნული პრეპარატების შექმნა. მარაგის გადასამოწმებლად დაუკავშირდით სააფთიაქო ქსელს ნომერზე - 032 240 00 04	
რევიონი	მისამართი
თბილისი	სანაპიროს N10s
თბილისი	ვაჟა-ფშაველას N6
თბილისი	ვაჟა-ფშაველას N65
თბილისი	შელიქიშვილის N6
თბილისი	კახეთის გზატკეცილი N36
ქუთაისი	აღმაშენებლის N24
ზუგდიდი	გამსახურდაის N8
ბათუმი	შელიქიშვილის 18/გორგასლის 92
თელავი	ალაზნის N43
გორი	თურუმალაიშის N9
ქუთაისი	აღმაშენებლის N24

თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატების ჩამონათვალი „ავერსი“-ს ქსელში.

ბრილინტა ტაბლეტი 90მგ
ელიქუსი 2.5მგ
ელიქუსი 5მგ
კრესტორი ტაბლეტი 10მგ
კრესტორი ტაბლეტი 20მგ
პლავიქსი ტაბლეტი 75მგ
ქსალერტო 10მგ
ქსალერტო 15მგ
ქსალერტო 20მგ
ვიზანა 2მგ
ეპიქსი 500მგ
ეპიქსი 1000მგ
ლამიქტალ DC 100მგ
რეპაქსი 40მგ
გალფუს მეტი ტაბლეტი 50მგ+1000მგ

## თუ თქვენს თვალის ჩინს საფრთხე ემუქრება...

ღიახ, თუ თქვენს მხედველობას ცვლილება შეატყობთ და მისხვდით, რომ მხედველობა დაზიანებულია, არ შეშინდეთ, რადგან ღიახ სამედიცინო ოკუპაციის მფლობელი იყავით, რომ დაზარალებული, თითქმის, იშვითი გამოწვევის ბარდა, არცერთი დაავადება არ ღარდა. მისავარია, მიმართოთ სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებას და დროულად. ასეთ შემთხვევაში მიმართეთ სპეციალისტის კლინიკა „ოფთალმიჯი“ ბათუმში. ეს კლინიკა, უკვე ათწლეულებია, მოხლოდ მომსახურებას სთავაზობს ქვეყნის რეგიონებს, მათ შორის კახეთსაც - სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად არის აღიარებული.

ვენებს, მის განვითარებას, მოგვაცილებს პრევენციული გასივვისთვისაც. იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობას უჭირს დედაქალაქში ჩამოსვლა, რაც ფინანსურ ხარჯებსა და დროსთან არის დაკავშირებული, კლინიკა „ოფთალმიჯის“ გეოგრაფიული ფონდმა, ჯერ კიდევ წლების წინ, გადაწყვიტა, ჩასულიყო რაიონულ ცენტრებსა და ორგანიზაციებში შემთხვევაში თითოეულ სოფელშიც კი, რათა ხელმისაწვდომი გაეხდა თითოეული პაციენტისთვის ადგილზე მომსახურება და ამით დაეზოგა მათთვის დრო, მკურნალობის ხარჯები, მიეცა უფასო კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა და შეღავათიან ფასებში, თანადაფინანსების ფარგლებში, ჩაეტარებინა კვალიფიციური ქირურგიული ოპერაციები. ამ სერვისით ბევრმა მოქალაქემ ისარგებლა. გამორჩეულად მაღლიერები არიან პენსიონერები. ასეა წლების განმავლობაში. გასული, 2021 წლის 24 აპრილს კი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა კლინიკა „ოფთალმიჯის“ გეოგრაფიული ფონდის საქველმოქმედო ფონდსა და N9 ოქის (გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს) მაჟორიტარ პარლამენტის წევრ დავით სონღულაშვილს შორის. მემორანდუმის მიზანია ამ ტერიტორიაზე მცხოვრები რეგისტრირებული პირებისთვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება და მხარდაჭერა. კლინიკა „ოფთალმიჯი“ აცხადებს მზადყოფნას, მოხლოდ მომსახურების მიწოდებით, მოახდინოს




საკოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული კატარაქტის ოპერაციების ჩატარება. ფონდი, ასევე, აცხადებს თანხმობას, დააფინანსოს ოპერაციის ნარჩენი ღირებულება 50%-ით და პაციენტებს უსასყიდლოდ მიანოდოს ოპერაციის შემდგომი პერიოდის მედიკამენტები. პარლამენტის წევრი დავით სონღულაშვილი კი აცხადებს მზადყოფნას, მოახდინოს ზემოხსენებული საქმიანობის ორგანიზება და მიანოდოს მიზნობრივ ჯგუფებს აღნიშნული ინფორმაცია. ასე რომ, მოსახლეობას ეძლევა შესაძლებლობა, ადგილზე, შეღავათიან ფასებში, მიიღოს უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურება. აქვე მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგა-

ზრდულ საქმეთა ცენტრის დირექტორს ბატონ აკაკი ნატროშვილს, რომელიც უანგაროდ გვეხმარება ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, - თქვა ქალბატონმა მანანა ხუციშვილმა. მკირვასო მემორანდომი, გვინდა გაცნობოთ, რომ 28 მარტს, ორშაბათ ღიახ, ჩვენს რაიონს ეწვია ალნიშნული ოპერაციის უკვე. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ დედოფლისწყაროს ცენტრში სპორტდარბაზის ეზოში ყოველგვარი წინასწარი ჩანარის გარეშე დღის 10 საათიდან. დანერგვითი ინფორმაციისთვის და შემდგომი ჩამოსვლის თარიღის დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარაკომ 599 53 44 97.

ნაირა გორაშვილი

## კორონავირუსთან დაკავშირებული რა შეზღუდვები უქმდება საქართველოში ?

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, კორონავირუსთან დაკავშირებით არსებული ყველა შეზღუდვა, გარდა ტრანსპორტისა და დახურულ სივრცეში პირბადის ტარების ვალდებულებისა, უქმდება. მათ შორის, უქმდება რაოდენობრივი შეზღუდვა როგორც საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ასევე სპორტულ, სახელოვნებო თუ სხვა სახის ღონისძიებებზე. ასევე აღარ იმოქმედებს თვითიზოლაციის ვალდებულება პირებისთვის, ვინც ქვეყანაში „პისიარ“ ტესტის გარეშე ბრუნდება. შესაბამისი გადაწყვეტილებების შესახებ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ოპერაციული შტაბის უფროსმა, ბიორბი ლიბრაძემ, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



დაცოი ხასიათს შეინარჩუნებს. საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და დახურულ სივრცეებში პირბადის ტარების ვალდებულება ამ ეტაპზე შენარჩუნებული იქნება. უქმდება რაოდენობრივი შეზღუდვა, როგორც საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ასევე სპორტულ, სახელოვნებო თუ სხვა სახის ღონისძიებებზე, მათ შორის სოციალურზე. ენ. დისტანციურზე მყოფი თანამშრომლები თავიანთი სამუშაო ადგილებს დაუბრუნდებიან, უქმდება თვითიზოლაციის ვალდებულება საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ქვეყანაში ბრუნდებიან „პისიარ“ ტესტის გარეშე. შენარჩუნდება ვაქცინაციაზე დაწესებული წახალისების პროგრამა. პრაქტიკულად ყველა რეგულაცია, გარდა დახურულ სივრცესა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში პირბადის ტარების ვალდებულებისა, ამ ეტაპზე უქმდება, - განაცხადა გეოგრაფი ლიბრაძემ.

„28 მარტიდან უქმდება პირბადის ტარების ვალდებულება ღია სივრცეში და ის მხოლოდ სარეკომენ-





# სანავის ფასის უკონტროლო ზრდა - ხელოვნური მანიპულაცია თუ მორიგი ეკონომიკური სირთულე?!

საქართველოში სანავის ფასის ძალიან მოკლე პერიოდში ძალიან მკვეთრად ზრდას მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია და გარკვეული კითხვებიც გაჩნდა. კითხვები, ძირითადად, სანავის ღირებულებას და საქართველოს გაზარჯი წარმოადგენს ნავთობპროდუქტების წარმოშობას ეხება. უფრო კონკრეტულად კი, საზოგადოებას აინტერესებს, სანავის ფასის ასეთი ზრდა ხომ არ არის კომპანიების მხრიდან ხელოვნური მანიპულაციის შედეგი. მომხმარებელს, ასევე, აინტერესებს, საქართველოში მოქმედი რომელი კომპანია რუსული წარმოშობისაა და ფასთა ცვლილება ხომ არ არის გამოწვეული საბარეო ფაქტორებით, კერძოდ კი, უკრაინა-რუსეთის ომითა და მისი თანამდებრივი ეკონომიკური სირთულეებით.

ჩვენთან მოქმედი კომპანიების წარმომავლობასთან დაკავშირებულ მართლაც საინტერესო საკითხზე ამავე სტატიის მიხედვით, თუმცა, მოგვიანებით ვისაუბრებთ, მანამდე კი რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ მოგიყვებით.

საქართველოს ბაზარზე არსებული ზოგადი სურათი ასეთია: კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2021 წელს ქვეყანაში, საერთო ჯამში, იმპორტირებულია 1 453 707 ათასი ლიტრი

ირაკლი ლეჟინაძის განმარტებით, სანავის ღირებულების მატების მიზეზი, სწორედ გლობალური ვითარება, რომელსაც თან ლარის გაცვლითი კურსის პრობლემა ერთვის.

„სანავის ფასის ბოლოდროინდელი ზრდა კავშირშია საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე მოვლენებთან. როგორც ცნობილია, ნავთობის, ისევე როგორც პლასტის, ფასი ისტორიულ მაქსიმუმზეა. საქართველოში სანავი არის 100%-ით იმპორტირებული პროდუქტი. შესაბამისად, საერთაშორისო ფასი ადგილობრივ ბაზარზე 2-4-კვირიან შუალედში აისახება. საერთაშორისო ფასთან ერთად, სანავზე გავლენას ახდენს ეროვნული ვალუტის კურსის მერყეობა დოლართან მიმართებით. ამ ეტაპზე განხორციელებული მონიტორინგის ანალიზით, რაიმე არასაბაზრო ფაქტორების გავლენას ფასზე გამოვრიცხავთ და ვთვლით, რომ ბაზარზე კონკურენცია აქტიურია.“

2018 წლის 5 ივლისიდან კონკურენციის ეროვნული სააგენტო საავტომობილო სანავის ბაზარზე განგრძობად მონიტორინგს ახორციელებს. თუ მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთება კომპანიების მიერ კონკურენციის კანონის შესაძლო დარღვევის რისკები, სააგენტო ამ საკითხს შეისწავლის,“ - აცხადებს ირაკლი ლეჟინაძე.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში, ბენზინგასამართ სადგურებზე მომხმარებელს სანავას ნავთობმპორტიორი კომპანიები აწვდის და არა - ნავთობმომპოვებლები. შესაბამისად,



ტრი ბენზინი და დიზელი, რაც 7.2%-ით მეტია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთან სანავაზე საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა. ბენზინის ტიპის სანავიდან ყველაზე მოთხოვნად სახეობას რეგულარის მარკის სანავი წარმოადგენს, რომლის პროცენტულმა წილმა ბენზინის სახეობებში შეადგინა 64%, ხოლო საერთო იმპორტში - 34.9%.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო 2013 წლიდან დღემდე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამას ადასტურებს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის შუალედური ანგარიში, თუმცა პროდუქტის ფასს მხოლოდ კონკურენცია არ განსაზღვრავს, განსაკუთრებით კი, დღევანდელ პირობებში - ეროვნული ვალუტის გაუფასურების და სერიოზული გლობალური პრობლემების ფონზე.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის,

სანავის ფასზე მათი მხრიდან ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა მინიმალურია. როგორც ანალიტიკოსი შოთა გულბანი განმარტავს, ფაქტობრივად, ისინი მთლიანად არიან დამოკიდებულნი იმ ფასებზე, რაც საერთაშორისო ბირჟებზე ფიქსირდება. თუმცა ანალიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს საქართველოში მოქმედ იმ ნავთობკომპანიებზე, რომელთა უკანაც რუსული კომპანიები დგანან - რამდენად იმოქმედებს ეს ფაქტორი ფასზე ან ხომ არ წარმოქმნის მინოდების პრობლემას იმ ეკონომიკური ბლოკადის ფონზე, რომელშიც კრემლი იმყოფება.

„ჩვენი ნავთობმპორტიორი კომპანიები პირდაპირ ექვემდებარებიან გლობალურ ბაზარზე არსებულ ვითარებას. რაც შეეხება ღირებულების ცვალებადობას, საქართველოში ფასის ასახვას, დაახლოებით, 2 კვირა სჭირდება. ადამიანები ხშირად კითხულობენ, საერთაშორისო ბაზარზე ფასის მომატება რატომ აისახება მაშინვე



ჩვენთან სანავის ფასზე, ხოლო კლება - შედარებით გვიან. ამ შემთხვევაში, თავად კომპანიების არგუმენტი უშუალოდ ბიზნესის ლოგიკიდან გამოდის - ძვირად შეძენილ სანავს ისინი იფარავენ გაყიდვით და ნაგებზე ვერ იმუშავენ.

გარდა ამისა, დღეს ძალიან აქტიური თემა გახდა საქართველოში მოქმედი ნავთობმპორტიორი კომპანიები, რომლებიც რუსული ბიზნესგუფების მფლობელობაში არიან. ხომ არ შეიქმნება ამ კუთხით რაიმე გართულებები, ან ფასის ზრდის, ან მონოდების თვალსაზრისით. ამ კითხვებს არსებობის უფლება ნამდვილად აქვთ, ვინაიდან რთულად პროგნოზირებადია ეკონომიკურ ბლოკადაში აღმოჩენილი რუსული კომპანიები ან პუტინის ავტორიტარული რეჟიმი რას მოიქმედებს ზარალის ასანაზღაურებლად. ლოგიკურად, მათ ინტერესში უნდა იყოს გაუფრთხილდნენ ნებისმიერ გასაღების ბაზარს. აქ მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის დაბალანსებული და დიპლომატიური პოლიტიკა, რომელიც ოქროს შუალედის პრინციპით მოქმედებს და მაქსიმალურად ითვალისწინებს ქართველ მომხმარებელთა ინტერესებს“, - აღნიშნავს შოთა გულბანი.

საქართველოში მოქმედი ნავთობკომპანიების წარმომავლობისა და მფლობელების შესახებ დეტალურ ინფორმაციას გვანვდის Forbes-ის მიერ უახლესი მონაცემებით გამოქვეყნებული სტატია. ნესით, აღნიშნული ინფორმაცია ყველასათვის მარტივად ხელმისაწვდომია საჯარო რეესტრის ბაზაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგჯერ, გარკვეული მიზეზით, კომპანიების მიერ რეესტრისთვის მინოდებული ინფორმაცია სრულყოფილი არ არის.

Forbes-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, საქართველოს ბაზარზე არსებული 5 უმსხვილესი მოთამაშიდან 2-ის უკან სწორედ რუსული კომპანიები დგანან. ერთი მათგანის ვინაობა საზოგადოებისთვის ისედაც ცნობილია, ეს „ლუკოილია“, მეორე კი - „გალფი“, რომლის შესახებაც საჯარო რეესტრში მსგავსი არაფერი იძებნება.

საქართველოს ბაზარზე არსებული 5 უმსხვილესი მოთამაშის წარმომადგენლობისა და მფლობელების შესახებ ინფორმაცია ასეთია:

„ლუკოილ ჯორჯია“  
მფლობელი: „ლუკოილ ჯორჯიას“ უშუალო მფლობელია შვეიცარიაში

რეგისტრირებული LITASCO SA და ის რუსული Lukoil-ის ჯგუფის წევრია.

„გალფი“  
მფლობელი: „გალფის“ ანუ „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ფინანსური ანგარიშის თანახმად, 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფების უშუალო მშობელი კომპანია იყო „ენერჯი ინვესტმენტ ვენჩურ ჰოლდინგსი“, რომელიც რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო საბოლოო მკონტროლებელი მხარე არის „პეტროკას ენერჯი ინტერნეშენალ ლიმიტედი“, რომელიც რეგისტრირებულია კვიპროსში.

ჯგუფის საბოლოო მფლობელები არიან რუსეთის სახელმწიფო ნავთობკომპანია „როსნეფტი“ 49%-ით და ბიზნესმენი დავით იაკობაშვილი 38% წილით. „სოკარ ჯორჯია აპტროლიუმ“  
მფლობელი: ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელია „სოკარ ენერჯი ჯორჯია“, მისი საბოლოო მკონტროლებელი მხარე კი აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიაა.

„რომანტროლ საქართველო“  
მფლობელი: კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ნიდერლანდებში რეგისტრირებული KMG International N.V.-ი, რომელიც ყაზახური KazMunayGaz-ის ჯგუფის წევრია. მისი საბოლოო მფლობელია ყაზახეთის სახელმწიფო საინვესტიციო კომპანია Samruk-Kazyna.

ჯგუფი „მისოლ აპტროლიუმ ჯორჯია“  
მფლობელი: „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ ჯგუფის მფლობელების სია, კომპანიის 2020 წლის აუდიტორული ანგარიშის თანახმად, ასეთი იყო:

ლევან ფხაკაძე 35.77%; სოსო ფხაკაძე 30.98%; გიორგი რამიშვილი 15.50%; ნუგზარ აბრამიშვილი 8.25%; ალექსი თოფურია 7.12% და დევიდ ბორგერი 2.38%.

ბოლო პერიოდში უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, ქართული საზოგადოება აქტიურად უჭერს მხარს უკრაინას. ამ პროტესტის ფონზე, მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მგრძობიარე გახდა რუსული კომპანიების საქართველოში ფუნქციონირების საკითხი. მათი პროდუქტის მოხმარებაზე ბევრი ადამიანი უარს ამბობს.

ფაქტია, რომ დღეს საქართველოს ბაზარზე არსებული ნავთობკომპანიები რიგი გამოწვევების წინაშე დგანან. საინტერესოა, ვინ როგორ გაუმკლავდება არსებულ სირთულეებს და რომელი კომპანია შეძლებს ერთგული მომხმარებლის შენარჩუნებას.

# კალიუმის იოდიდის (KI) გამოყენება რადიაციული საფრთხის დროს

**\*ვიდრე სტატიის კითხვას დაინყებდეთ, გთხოვთ, გაითვალისწინეთ:**  
 არავითარ შემთხვევაში არ დაინყოთ იოდის თვითნებურად და წინასწარ მიღება, ვინაიდან, თუ ამის საჭიროება დადგა, საგანგებოდ გამოაცხადებს სახელმწიფო. არ იყიდოთ შემცველები, რადგან საქართველოს აფთიაქებში ამჟამად გაყიდვაში არსებული იოდი და მისი დოზები სხვა დანიშნულებით გამოიყენება. შესაბამისად, არ არის მისი მომარაგების საჭიროება. სტატია მხოლოდ საინფორმაციო ხასიათს ატარებს და პანიკის მიზეზი არ გვაქვს.

მას შემდეგ, რაც რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყო, ყველა სხვა საშიშროებასთან ერთად, რადიაციულ საფრთხეზეც დაინყებთ ფიქრი. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ რუსული ჯარები ჩერნობილში შეიჭრნენ და საზოგადოებას ახალი ეკოლოგიური კატასტროფის შიში გაუჩნდა. იმისათვის, რომ ეს განცდა მეტნაკლებად გავანეიტრლოთ და შიშის ნაცვლად, მზაობა ვიგრძნოთ, საკვებისა და წამლის ადმინისტრაციის (FDA) 2001 წლის რეკომენდაციას გაგიზიარებთ. ამ უკანასკნელის თანახმად, რადიაციული საგანგებო მდგომარეობის დროს ევაკუაციასა და თავის შეფარებასთან ერთად, კალიუმის იოდიდის (KI) დანამატი უნდა მივიღოთ.

### რა არის კალიუმის იოდიდი?

კალიუმის იოდიდი (KI) წარმოადგენს ქიმიურ ნაერთს, რომელიც ფარისებრი ჯირკვლის რადიოაქტიური იოდის (რადიოიოდის) მოსალოდნელი რადიაციული ზემოქმედებისგან დასაცავად გამოიყენება. რადგანაც იოდის ათვისება ფარისებრი ჯირკვლის მიერ ხდება, რადიოიოდით დაბინძურებულ ჰაერს ან საკვებს აღნიშნული ჯირკვლის რადიაციული დაზიანება შეუძლია. ეს კი სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზი ხდება.


65 კგ-ზე ჭარბი წონის 12-დან 18 წლამდე მოზარდები – 130 მგ  
 65 კგ-მდე წონის 12-დან 18 წლამდე მოზარდები – 65 მგ  
 3-დან 12 წლამდე ბავშვები – 65 მგ  
 1 თვიდან 3 წლამდე ბავშვები – 32 მგ  
 დაბადებიდან 1 თვემდე ბავშვები – 16 მგ

KI-ის მიღება ყველაზე ეფექტურია რადიოაქტიური იოდის ზემოქმედებამდე, ან უშუალოდ ზემოქმედების შემდეგ – მაქსიმუმ, 3-4 საათის ვადაში. მისი მოქმედება კი 24 საათის განმავლობაში გრძელდება. ლოკალური ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ ხდება გაფრთხილება, თუ როდემდე უნდა გაგრძელდეს KI-ის მიღება. ხოლო რადიაციის ქვეშ მყოფი არეალიდან ინდივიდის გამოსვლის შემდეგ KI-ის მიღება არ არის საჭირო.

თუმცა ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ KI არ იცავს სხვა ორგანოებსა თუ ქსოვილებს, გარდა ფარისებრი ჯირკვლისა. ასევე, კალიუმის იოდიდი ორგანიზმს არ იცავს ისეთი გარე წყაროებიდან მიღებული რადიაციული დოზისგან, როგორცაა რადიოაქტიური შლემი, მინაში დაღეილი რადიოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედება. თანაც, იოდის გარდა, იგი არ მოქმედებს სხვა ტიპის ჩასუნთქული, ან ორალურად მიღებული რადიოაქტიური ნივთიერებების გავლენაზე.

### KI-ის კვარატივი აუქსიაჰი

ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ პოლონეთში შესაბამისი კვლევები ჩატარდა, თუ რა გვერდითი ეფექტები ახლავს კალიუმის იოდიდის მიღებას. 270 ახალშობილს, რომელსაც 15 მგ KI-ის აძლევდნენ, გარდამავალი ბიოქიმიური ჰიპერთირეოზი განუვითარდა. ზრდასრულებსა და ბავშვებში დაფიქსირებული გვერდითი ეფექტები მოიცავს საჭმლის მომწელებელი სისტემის დარღვევებს შემთხვევების, დაახლოებით, 2%-ში და გამონაყარს — დაახლოებით, 1%-ში. ასევე,



ადამიანების უსაფრთხო ადგილას შეფარება, რომელთათვისაც შეუძლებელია ლოკაციის შეცვლა („დატყვევებული“ პოპულაცია). KI, გამოყენების შემთხვევაში, წარმოადგენს მხოლოდ დამატებით ზომას ევაკუაციასთან და შეფარებასთან ერთად. დაბინძურებული რძის, ან სხვა პროდუქტის მიღება, ასევე, გამოიწვევს რადიოიოდის საგრძნობი დოზით მიღებას. რადიოაქტიური იოდის ორალურად მიღებისგან პირველად დამცავ გზას წარმოადგენს მიღებული საკვების კონტროლი და დაბინძურებული პროდუქტების გამოყენების თავიდან აცილება.

### საჭიროა თუ არა სიფრთხილის ააოჩანა საზოგადოებისთვის KI-ის რეკომენდაციისას?

მოსალოდნელი გვერდითი ეფექტების გამო, ინდივიდებმა უნდა გაიარონ წინასწარი კონსულტაცია პირად ექიმებთან, რათა მოხდეს იოდისადმი მგრძობელობის, ან იმ პირობების განსაზღვრა, რამაც შესაძლოა გაზარდოს იოდისადმი ჰიპერმგრძობელობის განვითარების რისკი. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება უნდა მოხდეს საგანგებო სიტუაციამდე, ვინაიდან, მეტი ეფექტურობისთვის, KI-ის მიღება უნდა მოხდეს ზემოქმედებიდან უმოკლეს ვადაში;

რადგან ახალშობილების ნაწილში შესაძლოა განვითარდეს გარდამავალი ჰიპერთირეოზი, უნდა მოხდეს იმ ახალშობილების ჰიპერთირეოზის სიმპტომების სკრინინგი, რომლებიც იღებენ KI-ს, ხოლო ასეთი სიმპტომების დაფიქსირების შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს სათანადო მკურნალობა. FDA რეკომენდაციას უწევს უპირატესი ყურადღება გამახვილდეს სხვა დამცავ ზომებზე ნეონატალური ასაკის ბავშვებში (ახალშობილები 1 თვემდე), ორსულებსა და მეტუქური დედებში, ასევე, იოდისადმი ცნობილი მგრძობელობის მქონე პირებში.

### KI ხელმისაწვდომია სითხისთა აუჯანის სახით?

ხელმისაწვდომი არის ორივე ფორმა. 1986 წელს მომხდარი ჩერნობილის ტრაგედიის შემდეგ, პოლონეთში პოპულაციაზე KI-ის გამოყენება მოხდა სითხის სახით. ამჟამად, KI დამტკიცებულია FDA-ის მიერ და ხელმისაწვდომია როგორც 65 მგ და 130 მგ აბების, ასევე, სითხის სახით.

### როგორია KI-ის გამოყენების ვადაჰი?

FDA-ის მიერ წამლის სხვადასხვა მწარმოებლისთვის დამტკიცებული გამოყენების ვადები მერყეობს სუთიდან

შვიდ წლამდე. თუმცა, სწორი შენახვის პირობებში (ჰაერისგან, სიცხისგან, სინათლისა და ტენიანობისგან დაცული ადგილები), KI-მა თავისი ეფექტურობა შესაძლოა შეინარჩუნოს მრავალი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი დეგრადაციის გარეშე.

### საჭიროა თუ არა რეაქაჰი KI-ის შესაქანად?

არა. პროფილაქტიკური გამოყენებისთვის KI FDA-ის მიერ დამტკიცებულია როგორც ურეცეპტოდ გასაცემი წამალი.

### შესაქანადია KI-ის შაქანა საპარტივალს ადგილოვრჰი აუთიანაჰი?

ადგილობრივ აფთიაქებში საქართველოში იყიდება კალიუმის იოდიდის აბები (იოდბალანსი, იოდმარინი), რომლებიც შეიცავს 100 მგ და 200 მგ KI და წარმოადგენს პროფილაქტიკურ დოზებს და რადიაციისგან თავდაცვის მიზნით არ გამოიყენება.

საქართველოს ადგილობრივ აფთიაქებში არ იყიდება 250 მგ-ები ან 130 მგ-იანი კალიუმის იოდიდის ტაბლეტები, რაც რადიაციისგან თავდასაცავად საჭიროა. ალტერნატიულად შეიძლება გამოვიყენოთ იოდის 5%-იანი ხსნარი, აქვე გთავაზობთ რადიაციის დამაზიანებელი მოქმედებისგან ფარისებრის დაცვისთვის საჭირო დოზებს:

დედები და ბავშვები 14 წლის ზემოთ, ასევე, ორსულები და მეტუქური დედები — 40 წვეთი გახსენით წყალში ან რძეში და მიიღეთ დასალევად — ერთჯერადად, ბავშვები 5-დან 14 წლამდე — 20 წვეთი გახსენით წყალში ან რძეში და მიიღეთ დასალევად — ერთჯერადად. ბავშვებში 2 — 5 წლამდე 20 წვეთი გახსენით წყალში და ნაუსვით სხეულზე იოდის ბადე, ბავშვებისთვის 2 წლამდე — 10 წვეთი გახსენით წყალში და ნაუსვით სხეულზე იოდის ბადე.

იოდით პროფილაქტიკა ყველაზე ეფექტურია რადიაციამდე 30 წთ ადრე და რადიაციიდან პირველი 2 საათის მანძილზე. არ მიიღოთ იოდის აღნიშნული დოზები და არ მიმართოთ პროფილაქტიკას რადიაციის რეალური საფრთხის არ არსებობის შემთხვევაში, მაინც ყველა შემთხვევისთვის, საპროფილაქტიკოდ.

იოდის აღნიშნული დოზები რამდენიმე ათასჯერ აღემატება დღიურ მოთხოვნილებას და შესაძლოა გამოიწვიოს გვერდითი ეფექტები. ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების მქონე პაციენტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მკურნალ ენდოკრინოლოგთან.

წყარო: Use of Potassium Iodide (KI) During Radiological Emergencies: Information for the Public



ამ ზემოქმედების გასანეიტრალეზად, გამოიყენება KI — მისი მიღების შემდეგ ფარისებრი ჯირკვლის სტაბილური (არა-რადიოაქტიური) იოდით გაჯერება ხდება. შედეგად, რადიოიოდის ათვისება ფერხდება ან მისი რაოდენობა ქვეითდება.

### დოზირაჰა ასაკოვრჰი აუჯანის მისაჰით:

0-18 წელი – 0.05 ზგ (ზივერტი) ორსულები და მეტუქური დედები – 0.05 ზგ

18-40 წელი – 0.1 ზგ  
 40 წლიდან – 5 ზგ

### KI-ის რეკომენდაჰი დოზაჰი რისკ-აუჯანისთვის:

18 წელს ზემოთ – 130 მგ

კვლევის ფარგლებში იოდისადმი გაზრდილი მგრძობელობისა და ჰოსპიტალიზაციის სულ 2 შემთხვევა დაფიქსირდა.

### რა სხვა დაჰაჰი აუჯანის მიღება უნდა მოხდეს რადიაციული საგანგებო მდგომარეობის დროს?

ნიუ ორკის შტატში არსებული გადაუდებელი პასუხის გეგმა მოიცავს პოტენციურად რადიაციული ზემოქმედების ზონაში მყოფი პოპულაციის ევაკუაციასა და უსაფრთხო ადგილებში შეფარებას, მათზე ავარიის შედეგად გამოთავისუფლებული რადიოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შესანყვეტად. აღნიშნული უბედური შემთხვევების დროს, პირველად დამცავ ზომას წარმოადგენს მოსახლეობის ევაკუაცია და ისეთი





# რუსეთის საინფორმაციო ომი - სტრატეგიები და მიზნები

საინფორმაციო ომი, რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. კრემლის მიერ დეზინფორმაციის გამოყენება ყალბი რეალობისა თუ ალტერნატიული სიმართლის შესაქმნელად კარგად ნაცადი ხერხია. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო ომი რუსეთის სამხედრო დოქტრინის შემადგენელი ნაწილია. დოქტრინა, რომელიც 2014 წლის დეკემბერში იქნა დამტკიცებული პირდაპირ მიუთითებს, რომ თანამედროვე კონფლიქტების მთავარი კომპონენტებია - სამხედრო ძალა, ინფორმაცია, პოლიტიკური და ეკონომიკური ზომები.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში შეინიშნება ანტი-დასავლური მონოდეტების მქონე მედია საშუალებებისა თუ ორგანიზაციების გააქტიურება. ეს ტენდენცია არა მხოლოდ საქართველოში შეინიშნება, არამედ ევროკავშირის ქვეყნებშიც, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, რუსეთის ფედერაცია საინფორმაციო კამპანიაზე ხარჯავს დაახლოებით 3,5 მილიარდ დოლარს. თუმცა, საინტერესოა თუ რა სტრატეგიებს მიმართავს რუსეთი სხვადასხვა ქვეყნებში, რა გზავნილები ჭარბობს ქვეყნების მიხედვით და რაზე არის ყურადღება გამახვილებული რუსულ პროპაგანდისტულ მედია საშუალებებში.

ამ კითხვებთან დაკავშირებით, კვლევითმა ინსტიტუტმა CEPA-m (Center for European Policy Analysis) აწარმოა კვლევა სადაც დეტალურადაა აღწერილი რუსული დეზინფორმაციის მეთოდოლოგია, სტრატეგია და ძირითადი ტენდენციები ქვეყნების მიხედვით. Damoukidebloba.com გათვალისწინებს ძირითადი მიგნებებს, რათა უკეთ წარმოვიდგინოთ თუ როგორ მუშაობს რუსული პროპაგანდა ევროპის მასშტაბით.

**როგორია რუსული პროპაგანდის სახე?**  
რუსული საინფორმაციო საშუალებები (რუსულენოვანი და ასევე უცხოენოვანი), განსაკუთრებით მრავალენოვანი „RT“ და საინფორმაციო სააგენტო „Sputnik“, წარმოადგენენ ერთგვარ „რბილ“ ანტი-დასავლურ პროპაგანდისტულ ქსელს, რომელიც ხაზს უსვამს დასავლური საზოგადოების ნაკლოვანებებსა თუ „ფარისევლობას“ (კორუფცია, ძალაუფლების სათავისოდ გამოყენება, ინფრასტრუქტურული წარუმატებლობები და სტიქიური უბედურებები). ძირითადად გამოიყენება სახელმწიფო მოხელეები, „დამოუკიდებელი ექსპერტები“, „დამოუკიდებელი ჟურ-

ნალისტები“, ეგრეთწოდებული ინტერნეტ/კიბერ „ბოევიკები“, რათა გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე

**რა ბაზიკურს იყენებს რუსეთი?**  
რუსეთის საინფორმაციო ომი ძირითადად 4 ტაქტიკურ მიმართულებას აერთიანებს:

პრიტიკის უარყოფა - პროპაგანდა უგულვებლყოფს რუსეთის ქმედებების ყველანაირ კრიტიკას და წარმოაჩენს მას, როგორც შეთხზულ ტყუილს, რომელიც დასავლეთის ორმაგი სტანდარტებიდან გამომდინარეობს;

ფაქტების დამახინჯება - რუსეთი ცდილობს საინფორმაციო ომში გაიმარჯვოს ფაქტების დამახინჯებით, რაც გულისხმობს, სხვადასხვა საინფორმაციო მაქინაციითა თუ პროპაგანდისტული მექანიზმით რეალური ფაქტების რუსეთისთვის სახარბიელო კუთხით გაშუქება.

მთავარი საკითხიდან ყურადღების გადატანა - რუსეთისთვის მნიშვნელოვანია კრემლის დღის წესრიგში არსებულმა მოვლენებმა მიიპყროს მაყურებლის ყურადღება.

მაჟორანტის დაბნევა - რუსეთის პროპაგანდის მთავარი ტაქტიკური გათვალა არა ტყუილის სიმართლედ წარმოჩენა, არამედ ფაქტების დამახინჯებით მაყურებლის დაბნევა რათა მაყურებელმა ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციის მიღებით ვეღარ შეძლოს რეალური სურათის დანახვა.

**როგორია რუსული პროპაგანდის გზავნილები ევროპის ქვეყნებში?**

დეზინფორმაცია, რომელიც ვრცელდება დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში განსხვავდება შინაარსობრივად და დამოკიდებულია ქვეყნის სოციო-კულტურულ, პოლიტიკურ და ისტორიულ თავისებურებებზე. ყოველი გზავნილი არის გულდასმით შერჩეული და ძირითადად გათვლილია ამ რეგიონის ქვეყნების რუსულენოვან მოსახლეობაზე. მაგალითად:

რუმინეთში რუსეთის მიერ დაფინანსებული მედია საშუალებები ძირითადად დემოკრატიული ინსტიტუტების დაკნინებას და რუმინეთის ევროკავშირში განევრიანების შეცდომად წარმოჩენას ცდილობენ.

ჩეხეთში და სლოვაკეთში წინა პლანზეა აშშ-ს ენერგეტიკული პოლიტიკის კრიტიკა და დასავლეთის წარმოჩენა, როგორც ნეოკოლონიალური ძალის, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე კონფლიქტების პროვოცირებას უწყობს ხელს.

ფინეთის მთავრობას, რუსული



პროპაგანდის აპოლოგეტები ბრალდებენ ბავშვების მოტაცებაში (იგულისხმება რუსულ-ფინური წყვილების განქორწინების შემთხვევებში ბავშვების მეურვეობასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებები).

შვედეთის მთავრობა წარმოჩენილია, როგორც შვედეთში სექსუალური დეკადენტობის მთავარ მამოძრავებელ ძალად.

უკრაინაში ძირითადი გზავნილებია - კორუფცია, სიღარიბე, უნესრიგობა და დასავლეთის მიერ მართული ფაშისტური სენტიმენტების მქონე „მარიონეტული“ რეჟიმი.

ცალკე განსახილველი შემთხვევაა ბალტიის ქვეყნები, რომლებიც პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის წარმატებული მაგალითად ითვლებიან. ლატვიასა და ესტონეთში ძირითადი პროპაგანდისტული სპეკულაციაა თუ როგორი დისკრიმინაციის ქვეშ არიან ამ ქვეყნებში რუსები მათი ეთნიკური თუ ენობრივი მახასიათებლების გამო, რომ მათ უარს ეუბნებიან მოქალაქეობაზე. ეს ბრალდებები მცდარია და არ ეფუძნება არანაირ ფაქტებს. სინამდვილეში საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში ესტონეთსა და ლატვიაში დასახლებული რუსების განდევნას ადგილი არ ჰქონია საბჭოთა კავშირის დამხრის შემდეგ. მათ აქვთ შესაძლებლობა შეინახონ სახელმწიფო ენები (ესტონური და ლატვიური) და შეიტანონ განაცხადი მოქალაქეობაზე, თუ ამის სურვილი ექნებათ. თუ ეს სურვილი არ აქვს ეთნიკურად რუსს, რომელიც ამ ქვეყნებში ცხოვრობს, მათ ამ ქვეყნებში ცხოვრების და დასაქმების უფლება მაინც აქვთ (გამონაკლისებია: შეიარაღებული ძალებში მსახური და მალალი პოლიტიკური თანამდებობის დაკავება). საინტერესო შემთხვევაა ლიტვა, სადაც რუსულმა პროპაგანდამ მოახერხა ლიტვის პოლონურ უმცირესობაში ანტი-ლიტვიური სენტიმენტების გაღვივება.

ბალტიისპირეთში რუსეთის პროპაგანდის მამოძრავებელი ძალაა - „Первый Балтийский канал“. ასევე ონლიაინ საიტი Regnum.ru, რომელიც უკვე 10 წელზე მეტია ფუნქციონირებს. უკანასკნელ დროს რუსეთის მიერ ამოქმედდა საიტი Baltnews, სადაც ანონიმურად თავსდება ინფორმაცია და ახალი ამბები ესტონურ, ლიტვიურ და ლატვიურ ენებზე.

**როგორია გზავნილები საქართველოში?**

მთავარი რუსული პროპაგანდისტული გზავნილები საქართველოში შეიცავს შემდგომ მესიჯებს - ევროინტეგრაცია ქართულ კულტურ-

რას და ტრადიციებს უქმნის საფრთხეს, უკრაინას და ბალტიისპირეთს დასავლეთიდან მართული ფაშისტები მართავენ. ასევე ხდება აპელირება მართლმადიდებლობაზე და ერთმორწმუნეობაზე. აშშ წარმოჩენილია, როგორც მსოფლიო კონფლიქტების ინიციატორი. მას შემდეგ, რაც თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობები დაიძაბა, ვრცელდება ანტი-თურქული მონოდეტებიც სხვადასხვა ჯგუფების მიერ (განსაკუთრებით კი „ქართული დასის“ მიერ).

2015 წლის 27 ნოემბერს (თურქეთმა რუსული „სუ-24“-ის ტიპის სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო 2015 წლის 24 ნოემბერს) „ქართული დასის“ ლიდერის, ჯონდი ბალათურის Facebook გვერდზე გავრცელდა ინტერნეტ კამპანია სახელწოდებით - „ძირს ოკუპანტი თურქეთი“, ზუსტად მაშინ, როდესაც ურთიერთობა თურქეთსა და რუსეთს შორის დაიძაბა. აღსანიშნავია, რომ „ქართული დასის“ ლიდერმა საქართველოში რუსეთის სამოკავშირეო ოფისის ამოქმედება დაანონსა 2015 წლის 14 დეკემბერს. როგორც ბალათურამ განაცხადა „რუსეთ საქართველოს სამოკავშირეო ოფისის გახსნით ვინცებთ რუსეთის ლობირებას საქართველოში“.

რუსული პროპაგანდის მთავარი საყრდენი საქართველოში რამდენიმე ადგილობრივი ვებ-პორტალია: „საქინფორმი“, „საქართველო და მსოფლიო“ და „ივერიონი“. ეს მედია-საშუალებები საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პრო-რუსული არასამთავრობო ორგანიზაციის - „ევრაზიული ინსტიტუტის“ მედია-პარტნიორები არიან. „ევრაზიულ ინსტიტუტს“ თავის ვებ-გვერდზე დაფინანსების წყაროები მითითებული არ აქვს, თუმცა, ცნობილი რუსი იდეოლოგის - ალექსანდრ დუგინის ორგანიზაცია „საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობა“ მიუთითებს, რომ საქართველოში მისი პარტნიორი სწორედ „ევრაზიული ინსტიტუტია“.

დასკვნის სახით, შიგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის პროპაგანდა არის მეთოდური, აქვს სტრატეგიული მიმართულება, გამოიყენებს სხვადასხვა მედია საშუალებებსა და ტექნიკებს. ცდილობს ფაქტების დამახინჯებას, რათა მაჟორანტულმა პირ მოახერხოს რეალური სურათის დანახვა, აღვივებს ეჭვებს და აბღებს მაჟორანტულს საგონებელში. რუსული პროპაგანდის მიზანი არის ალტერნატიული რეალობის შექმნა, რათა საზოგადოებამ დააბრუნოს რეალობის აღქმის უნარი.



# მარიუპოლი - მოწამებრივი ქალაქი

მარიუპოლი რუსეთისთვის და უკრაინისთვის სტრატეგიული ქალაქია, ამიტომ იზრძვის მისთვის ორივე მხარე ზოლოდზე. ამასობაში მარიუპოლში შენობების 90 პროცენტი განადგურდა.

მარიუპოლის მერის მოადგილე სერგეი ორლოვი ამბობს, რომ დაიღუპა 3 ათასზე მეტი ადამიანი. თუმცა, რადგანაც ბევრი ჯერაც ნანგრევებშია მოყოლილი, ვარაუდობენ, რომ მსხვერპლი გაცილებით დიდი უნდა იყოს.

**ნადეჟდა სუხორუკოვა** მარიუპოლის ერთ-ერთი მკვიდრია. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ მისი ყოფა უცებ შეიცვალა. ახლა უკვე აღარც სჯერა, რომ სადღაც ერთ თვის წინ სულ სხვანაირი ცხოვრება ჰქონდა.

„ვიცი, რომ სიკვდილისთვის ვარ განწირული, ეს დროის ამბავია. ამ ქალაქში ახლა ყველა სიკვდილს ელის. მხოლოდ იმას ვნატრობ, ის ძალიან სასტიკი არ იყოს. სამი დღის წინ ჩემი ძმისშვილის მეგობარი გვენჯია და მოგვიყვანა, რომ სახანძრო განყოფილებას ესროლეს. რამდენიმე ადამიანი სიცოცხლეს გამოესალმა, ერთ ქალს ხელ-ფეხი და თავი მოსძვრა. ვოცნებობ, ჩემი კიდურები ჩემთან დარჩეს, თუნდაც ბომბის აფეთქების შემდეგ, არ ვიცი, რატომ, მაგრამ მგონია, რომ ეს მნიშვნელოვანია. თან სახანძრო ბრძოლა, ვერავის დაგმარხავთ, ასე გვითხრა პოლიციელმა, როდესაც ქუჩაში გამოვიჭირეთ და ვკითხეთ, რა ვუყოთ ჩვენი მეგობრის გარდაცვლილ ბებიასო. გვიჩიოდა, აივანზე გაგვეტანა. ახლა ვფიქრობ, ნეტავ, კიდევ რამდენ აივანზე აწყვია ცხედრები.“

მთელი დღეა გარეთ ვარ და გარშემო სამარისებული სიჩუმეა. არც მანქანები, არც ხმები, არც ბავშვები, არც ძელსკამებზე ჩამომსხდარი ბებიები. ქარიც კი მკვდარივითაა. რამდენიმე კაცი ჩანს, სახლის გვერდით და მანქანების სადგომზე წვანან, ზედ ტანსაცმელი ახურავთ. არ ვიხედები იქითკენ, მეშინია, ვინმე ნაცნობი არ დავიხახო“, - ნადეჟდა სუხორუკოვა ამ თავის ფეისბუქის გვერდზე დაწერა 20 მარტს.

ქალაქი მარიუპოლი ერთ-ერთია უკრაინის დიდი ქალაქებიდან. მისი მოსახლეობა 450 ათას ადამიანს ითვლის, უფრო სწორად, ითვლიდა. მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, მარიუპოლის მცხოვრებლები სამშვიდობოს გასვლას ცდილობენ. ქალაქი დონეცკის რაიონში, აზოვის ზღვასთან მდებარეობს. ეთნიკური



თვალსაზრისით მოსახლეობა ჭრელია. აქ ცხოვრობენ როგორც უკრაინელები, ასევე რუსები, ბერძნები, ებრაელები და ბელარუსები.

ომის დაწყების დღიდან მარიუპოლი, ისევე როგორც ხარკოვი, მუდმივად იბომბება. ხალხი სარდაფებსა და სხვა თავშესაფრებშია შეხიზნული, თუმცა, ხშირად ესეც ვერ შეეღობა. მარიუპოლის თეატრს, რომელსაც ათასამდე ადამიანი, მათ შორის ბავშვები აფარებდნენ თავს, რამდენიმე დღის წინ ბომბი ესროლეს.

**„ამ კვირაში, ღვთისმშობლის სახლის მატარებელი ქალაქი მარიუპოლი განაგრძობს მონაწილეობას ქალაქი იმ სასტიკ ომში, რომელიც უკრაინას ანგრევს. არ არსებობს არანაირი მიზეზი, რამაც შეიძლება გამართლოს ბავშვების, უდანაშაულო და უიარაღო მშვიდობიანი მოსახლეობის ბარბაროსული მკვლელობები“**, - განაცხადა რომის პაპმა ფრანცისკამ.

რა სტრატეგიული ღირებულება აქვს მარიუპოლს უკრაინისთვის? სამხედრო ექსპერტი აპირს ბარბაქაძე ამბობს, რომ მარიუპოლი რუსეთს შირიმის, ლუბანსკისა და დონეცკის მის მიერვე აღიარებული სხვა მნიშვნელოვანი ბასამართიანობადაა სჭირდება.

„თუ რუსეთი აზოვის ზღვის სანაპირო ზოლს დაიკავებს, მარიუპოლი ზღვაზე გასასვლელი ქალაქია. ასევე რუსეთს

უნდა ხერსონიც. ხერსონს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს წყლის გამო, ყირიმის ნახევარკუნძულზე წყალი უკრაინიდან შედიოდა და გამანაწილებელი ხერსონთან მდებარეობს. აი, ეს არის პუტინის ჩანაფიქრი, დაიკავოს ეს ტერიტორიები და შემდეგ გაყინოს კონფლიქტი. ახლა მას ლუგანსკსა და დონეცკთან სახმელეთო მისასვლელი არა აქვს.“

აკია ბარბაქაძე ამბობს, რომ მარიუპოლისთვის რუსეთიც გააგრძელებს ბრძოლას და უკრაინაც. მარიუპოლის მშვიდობიანი მოსახლეობის ყელეცა კი რუსეთის მხრიდან მცდელობაა, უკრაინელები მორალურად გატეხოს.

„ომის პირველი საათებიდან რუსეთი ჰუმანიტარული კორიდორებიდან იტაცებს მოსახლეობას, მიჰყავს სადღაც რუსეთის სიღრმეში, მათ დაკითხვებს უწყობენ და ზოგადად, როგორც მტრებს, ისე ეპყრობიან. უკრაინელებისთვის ახლა ერთადერთი გამოსავალია, მთლიანად განმინდონ უკრაინის ტერიტორია რუსული ჯარისგან, სხვა გზა მათ არ დაუტოვებს. უკვე იმდენი სისხლია დაღვრილი, უკრაინელები არც გაჩერდებიან და ვერც გაჩერდებიან. იქ ცნობილი „აზოვის“ ბატალიონი იბრძვის.“

ბატალიონი „აზოვი“ 2014 წელს შეიქმნა და დღეს უკრაინის ეროვნული გვარდიის რიგებში ირიცხება. სპეცია-

ლური დანიშნულების ამ დანაყოფს ბრძოლებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს.

სულ ახლახან უკრაინამ უარი თქვა, შეასრულოს რუსეთის ულტიმატუმი, რომლის თანახმად, მარიუპოლიდან ჰუმანიტარული დერეფნების გახსნის საწინააღმდეგოდა, ქალაქი უკრაინელმა სამხედროებმა უნდა დატოვონ.

**„ვერანაირ ჩაბარებასა და იარაღის დაყრახე საუბარი ვერ იქნება და ეს რუსულ მხარეს უკვე ვაცნობთ“**, - განაცხადა უკრაინის ვიცე-პრემიერმა ირინა ვირშუპმა.

პირიქით, უკრაინა მოითხოვს, რუსმა სამხედროებმა დაუყოვნებლივ გახსნან ჰუმანიტარული დერეფნები, რათა მარიუპოლის მშვიდობიანი მცხოვრებნი ზაპოროჟიეში გადაიყვანონ.

და ისევე ნადეჟდა სუხორუკოვას პოსტი ფეისბუქიდან:

**„ხალხი მარიუპოლის სარდაფებში ზის. მათთვის ყოველდღე უფრო და უფრო რთულია გადარჩენა. არა აქვთ წყალი, საჭმელი, სინათლე, გარეთ გამოსვლაც არ შეუძლიათ გაუთავებელი სროლების გამო. მარიუპოლის მოქალაქეებმა უნდა იცოცხლონ. დაეხმარეთ მათ გამოსვლაში. ყველამ იცოდეს, რომ მშვიდობიანი მოსახლეობას ახლაც ხოცავენ“.**

## ოკუპანტების თავდასხმას უკრაინაში 121 ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა

„რუსეთის აგრესიის 28-ე დღეს ოკუპანტების თავდასხმას 121 ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა, სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო 167-მა ბავშვმა“, - ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის გენერალური პროკურატურის ოფისი სოციალურ ქსელში ავრცელებს.

ყველაზე მეტი ბავშვი დაზარადა კიევის ოლქში - 61. 41 ბავშვი დაზარადა ხარკოვის ოლქში, 40 - დონეცკის ოლქში, 32 - ჩერნიგოვის ოლქში, 24 - მიკოლაევის ოლქში, 16 - დედაქალაქში, 15 - ჟიტომირის ოლქში, 15 - ხერსონის ოლქში და 14 - სუმის ოლქში.

ყოველდღიური დაბომბვების შედეგად დაზიანებულია 548 სასწავლო დაწესებულება, 72 მათგანი სრულად არის განადგურებული. ამ მიმართულებით ყველაზე რთული ვითარება დონეცკის, ხარკოვის, მიკოლაევის, სუმის, კიევის, ხერსონის, ჩერნიგოვის ოლქებსა და დედაქალაქ კიევში.

ამასთანავე, დაზიანებულია 40 საბავშვო დაწესებულება, რომელთა შორის არის: სამედიცინო დაწესებულებები, ხელოვნების სკოლები, სპორტული ობიექტები და ბიბლიოთეკები.



### მონაბრძნა

#### ლალი მამლარაშვილი

წელიწადის ყველაზე ლამაზ დროს მოეწონებოდა ამ ქვეყანას და გაზაფხულივით მშვენიერი იყავი. მარტში დაიბადე და ეს დღესასწაული იყო ჩვენთვის. თუმცა, მხოლოდ 25 წელი. დაუნდობელი აღმოჩნდა ეს სენი შენთვის. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ გავიმარჯვეთ ამ ვერაგ ავადმყოფობაზე. მას მერე 20 წელი გავიდა, მაგრამ შენი გულიანი სიცილი არავის დავიწყებია. არც ღიმილი - უზომოდ გულწრფელი და სუფთა, არც ლამაზი თითები პიანინოს რომ აჟღერებდა და არც შენი თვალები - ვარსკვლავებს რომ ასხივებდა.



25 წელი იყავი ამ ქვეყნის მკვიდრი. ღმერთო, რა ცოტა გიცხოვრია. რა არის 25 წლიანი ვიზიტი იმათთვის, ვისაც სიცოცხლე უყვარს, გრძნობს და უმღერის. ეს წლები დაგვიტოვე შენს მოსაფრებლად მხოლოდ. ახლა 45 წლის იქნებოდი. ალბათ, ისევე ისეთი. მუდამ ღიმილიანი და დიდი, მოსიყვარულე გულით. გექნებოდა ლამაზი ოჯახი, გეყოლებოდა არაჩვეულებრივი შვილები და ისევე ისე გავიხარებდი გაზაფხულის პირველ ცხრაშვიტში.

შენი ოჯახი.

ციური და აეთო ალიკოშვილები ოჯახით სამიძიარს უცხადებენ ნინო იაკობიშვილს მამის არონ იაკობიშვილის გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნიკო კოკილაშვილი, ძმა ვასიკო ჯანყარაშვილი, შვილები: ლექსო, ნიკა, შელიძეშვილები იუნყებიათ ლინა ჯანყარაშვილის გარდაცვალებას.

